ა(ა)იპ ქ. ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის

მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში

თვითმმართველი ქ. ფოთის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი, დაფუძნდა 1997 წელს, საქართველოს კულტურის მინისტრის ბრძანების საფუძველზე. სასწავლებელი ახორციელებს ხალხური რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, პროფესიული განათლების არაფორმალურ პროგრამას. სასწავლებელში პროფესიის დაუფლება მიმდინარეობს სრული ზოგადი განათლების მიღების პარალელურად. ფუნქციონირებს 5 ფაკულტეტი: ხის მხატვრული დამუშავება, კერამიკა, მხატვრული ქსოვა (ხალიჩა, ფარდაგი, გობელენი), ტანსაცმლის მხატვრული დამუშავება, ლითონის მხატვრული დამუშავება(ტიხრული მინანქარი). სამხატვრო სასწავლებელში ფუნქციონირებს ფოტოხელოვნებისა და ანიმაციის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობენ მოწვეული სპეციალისტები.

2023 წელს სამხატვრო სასწავლებლის ბაზაზე, ქ. ფოთის თვითმმართველობის ინიციატივითა და დაფინანსებით , შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, გაიხსნა არტთერაპიის ჯგუფი, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან ხატვას, აპლიკაციას და ძერწვას.

სასწავლებელში მიმდინარეობს, როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობა. ინტენსიურად ტარდება გამოფენები, შემეცნებითი ღონისძიებები. სასწავლებლის მოსწავლეები მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში. არსებობის 27 წლის მანძილზე სასწავლებელმა აღზარდა და ხალხურ რეწვას აზიარა არაერთი ახალგაზრდა, რომლებიც დასაქმებულნი არიან, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში. სასწავლებელში სწავლობენ ობოლი, მზრუნველობას მოკლებული და შეზღუდულ უნარიანი მოზარდები, რომლებიც სახელოვნებო პროფესიებს ეუფლებიან საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით. სასწავლებელში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა შესაბამისი განათლებისა და მაღალი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები.

სასწავლებელი ფუნქციონირებს 2 კორპუსში. I (მდებარე 9 აპრილის N 15) II (მდებარე თამარ მეფის ქ.17) სასწავლებელში მიმდინარეობს 2 საფეხურიანი სწავლება .

სამხატვრო სასწავლებელი საქმიანობას ახორციელებს სასწავლებლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სასწავლო წლის გეგმის მიხედვით.

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელში მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 230 მოსწავლეს. სამხატვრო სასწავლებლის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი შეადგენს 310,0 ათას ლარს. თანამშრომელთა რიცხოვნება შტატით 33 ერთეულია, ხელშეკრულებით მოწვეულია 5 ერთეული.

საანგარიშო პერიოდში სამხატვრო სასწავლებელში განხორციელდა შემდეგი სასწავლო შემოქმედებითი საქმიანობა:

. 7 იანვარს სასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო საახალწლო გამოფენა - გაყიდვაში, რომელიც გაიმართა ქალაქის ცენტრალურ მოედანზე .

. სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის პირველი საფეხურის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში ,,ახალი წელი საქართველოში". ა(ა)იპ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საგამოფენო დარბაზმა, პერსონალური სიგელით დააჯილდოვა სასწავლებელი კრეატიული ქართული, ტრადიციული ნაძვის ხის შექმნისთვის. ასევე დაჯილდოვდა, ამავე სასწავლებლის პირველი საფეხურის მოსწავლე: სალომე ბჟალავა. პედ. ნანა კუცია.

. 2023 წლის 27 იანვარს სასწავლებლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა საერთაშორისო ფონდის მიერ ორგანიზებულ ნახატების ციფრულ, საერთაშორისო კონკურსში - თემა „მშვიდობა“.

. 12 თებერვალს EU4Dialogue პროექტის ფარგლებში გოეთეს ინსტიტუტის (თბილისი) და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით მულტიდისციპლინური გამოფენა „მომიტანე ჰორიზონტი BRING ME THE HORIZON“ გაიხსნა. ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის პედაგოგებმა: მაია გერსამიამ, სერგო ხაზალიამ, ეკა გედენიძემ, თეა დუნდუამ, გელა ელიზაროვმა. პროექტში მონაწილე არტისტები მ/წ 9 თებერვალს ესტუმრნენ სამხატვრო სასწავლებელს და გაეცნენ სასწავლებლის პედაგოგებისა და მოსწავლეების შემოქმედებას.

. 2023 წლის 14 თებერვალს მიმდინარე სასკოლო პროექტის ფარგლებში, ქ.ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწვლებელს ეწვივნენ, ფოთის N2 და N12 საჯარო სკოლის მოსწავლეები (მასწავლებელი ლუკა ცომაია), რომლებმაც დაათვალიერეს სასწავლებლის სახელოსნოები, მოსწავლეთა ნახატები, ხალხური რეწვისა და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობები. ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები: მოსწავლეებს მასტერკლასები ჩაუტარდათ ხის მხატვრულ კვეთაში, თექვაში, მხატვრულ ქსოვაში, ქვილთინგში, ლენტებით ქარგვაში მასწავლებლების: გელა ელიზაროვის, მაია გვალიას, ეკა გედენიძის და მაია წულაიას მიერ. კერამიკის მასტერკლასი ჩაატარა სასწავლებლის კერამიკის ფაკულტეტის III კურსის მოსწავლემ ნინა ვართანიანმა.

. 2023 წლის 8 მარტი ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის ნორჩმა აღსაზრდელებმა გამოფენით აღნიშნეს . გამოფენას უხელმძღვანელეს მასწავლებლებმა თეა დუნდუამ და მაია ჩარაევამ .

. 2023 წლის 10 მარტს სამხატვრო სასწავლებელში გაიმართა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულისადმი მიძღვნილი ხელთნაკეთი ნივთებისა და ფერწერული ნიმუშების გამოფენა, რომელმაც დამთვალიერებელთა დიდი მოწონება და ინტერესი დაიმსახურა. გამოფენა შეაჯამა ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა ბატონმა ზურაბ ტიბუამ.

. 2023 წლის 11 მარტს სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო პროექტის „ფერმერ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა რძის პროდუქტების წარმოების განვითარების მხარდაჭერის გზით ფერმერთა საველე სკოლების (FFS)ბაზაზე“, გამართულ გამოფენაში, რომელიც გაიმართა ქ.ზუგდიდში სასტუმრო „გარდენ პალასში.“ხალხური რეწვა და შინამრეწველობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებადი ხალხური კერამიკული და ხის ჭურჭელი როგორიცაა ხონჩა, ქოთანი, ფიალა, ციცხვი, გობი, ქილა, დერგი, კათხა და სხვა წარმატებით იქმნება ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელში, სადაც ახალგაზრდები ეუფლებიან ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღდგენა შენარჩუნების საქმეს.
. 13 მარტს სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის 1 საფეხურზე გაიმართა აღდგომის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შიდა გამოფენა-კონკურსი: ,,ჩემი თვალით დანახული აღდგომა." (ხელმძღვანელები : ნანა კუცია, მაია ცხადაია იზოლდა ლოლუა) გამოფენა შეაჯამეს მოწვეულმა მხატვრებმა, ბატონებმა ამირან კუპრავამ და ზაურ ცხადაიამ. სტუმრებმა გამოარჩიეს განსაკუთრებული ნამუშევრები, გაუზიარეს მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილება.

. 2023 წლის 30 მარტს ქ. ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებმა თანატოლების წინაშე წარადგინეს თემატური კონფერენცია „ქართველი ხალხის ყოფაცხოვრება და კულტურა“- ხელმძღვანელი მარინა შამათავა. საკონფერენციო თემები: „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა“ - მომხსენებლები: ვაჟა ბერაია, რომა ცეკვაშვილი.

„ტანსაცმელი, როგორც დეკორატიულ - გამოყენებითი ხელოვნების დარგი“-მომხსენებლები: ანანო ბჟალავა, დიანა მურზაკი.
„საქართველოს ეთნოგრაფია - ძველი საცხოვრისი“- მომხსენებლები: მარიამ კაკულია, მარიამ მიმინოშვილი.

კონფერენცია შეაჯამა კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ გაბისონიამ.

. 2023 წლის 19 აპრილს სამხატვრო სასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ საქალაქო ღონისძიებაში. წარმოადგინა სხვადასხვა მასალაში შესრულებული ქართული ასოები. ასევე ღონისძიების ფარგლებში შესრულებული კომიქსები. გამოფენა გაიმართა საქალაქო ბიბლიოთეკის ფოიეში.

. 2023 წლის 21 აპრილს გაიმართა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ქართული შრიფტისა და საზედაო ასოების გამოფენა შესრულებული სხვადასხვა მასალაში. გამოფენა შეაფასა ქ.ფოთის მერის მოადგილემ ბატონმა ლექსო თოდუამ.

. 2023 წლის 29 აპრილს კომპანია „კრეატივ ივენთის“ ორგანიზებით, ქ. თბილისში , სასტუმრო „ბილტმორში“ გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით, ,,მე მინდა საქართველო მიცნობდეს", რომელშიც ა(ა)იპ ქ. ფოთის აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდნენ სიგელებით წარმატებული მონაწილეობისთვის. ქ. ფოთის სამხატვრო სასწავლებელი დაჯილდოვდა გამოფენის სიმბოლო-სუვენირით.

. 11 ივნისს სასწავლებლის 1 საფეხურის ეზოში მოეწყო ტიხრული მინანქრის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეების ხელით შექმნილი ნამუშევრები.
პედ: თამარა ბუკია, ნანა კუცია, ირაკლი თოთიბაძე.
. 12 ივნისს სამხატვრო სასწავლებელმა უმასპინძლა საერთაშორისო პლენერს ,,პალიტრა ფოთი 2023", რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2022 წელს. ქალაქს ეწვივნენ მხატვრები სხვადასხვა ქვეყნებიდან: ლატვია, თურქეთი, ბელარუსი, სომხეთი. პლენერის მონაწილე უცხოელი და ქართველი მხატვრები ერთი კვირის მანძილზე ქმნიდნენ ფერწერულ ტილოებს, რომლებიც გადმოეცა სამხატვრო სასწავლებლის საგამოფენო სივრცეს. ფესტივალი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

. 22-24 ივნისს თელავში ჩატარდა ანიმაციური ფილმების ფესტივალი ,,ეკო თოფუზი”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოთის სამხატვრო სასწავლებლის 1 საფეხურზე არსებული ანიმაციის სტუდიის მოსწავლეებმა : მარიამ საჯაიამ, მარიამ ჟღენტმა,ანამარია ქაჯაიამ ,ელენე მაღლაკელიძემ,მეგი ლორთქიფანიძემ , ანდრია გალიჩიმ , გიორგი რატიანმა ,გიორგი სალაყაიამ. მოსწავლეებმა წარადგინეს თავიანთი ფილმების პიჩების პრეზენტაცია.

. 5- 10 ივლისს სამხატვრო სასწავლებელმა უმასპინძლა საერთაშორისო ფესტივალს ,,შავი ზღვა 2023". მოწვეული ქართველი, ლიტველი, თურქმენი, ხორვატი და ინგლისელი ფოტოხელოვანები აქტიურად მუშაობდნენ. გადაიღეს საინტერესო ფოტოები, რაც შეემატა ქალაქის ფოტოკოლექციას. ამ აქტივობებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხატვრო სასწავლებლის ფოტოხელოვნების ჯგუფის კურსდამთავრებულები. ლიტველმა პორტრეტისტმა სასწავლებლის ფოტოხელოვნების სტუდიის მოსწავლეებისთვის მოაწყო ფოტოსესია.
ფესტივალი ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით გაიმართა.

. ,,ქოლგა თბილისი ფოტო" ყოველთვის მხარს უჭერს ახალგაზრდა ხელოვანების პოპულარიზაციას. მათი მენტორობის ქვეშ გაიმართა რეგიონული ფოტოკონკურსი ,,ვიზუალური მოთხრობა", რომელშიც მონაწილეობდნენ ახალი ხედვის მქონე ფოტოგრაფები საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. შერჩეულ თექვსმეტ ფოტოგრაფს შორისაა ჩვენი სასწავლებლის ფოტოხელოვნების ჯგუფის წარმომადგენელი ნატალი ბაირამიდი.

. ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ,,თოფუზი" ქ.ფოთის სამხატვრო სასწავლებლის ანიმაციის განყოფილებამ წარადგინა მოსწავლეების მარიამ საჯაიას, ანამარია ქაჯაიას, გიორგი რატიანის და ვალერი ტომასიანის მიერ შექმნილი ანიმაციური ფილმი: ,,ნიკო ნიკოლაძე-ულმობელი საქმის კაცი". ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ მოწვეული უცხოელი ჟიურის წევრები: პოლონეთიდან-ზბიგნევ ზმუდსკი, უკრაინიდან-მიხეილ მარგულისი

. 16 ოქტომბერს სამხატვრო სასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო ნიკო ნიკოლაძის 180 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საქალაქო გამოფენაში ღია ცის ქვეშ. წარმოდგენილი იქნა მრავალფეროვანი ექსპოზიცია, მათ შორის ნ. ნიკოლაძის კუთვნილი სანათურის ასლი, რომელიც დაკარგულია და აღდგა ფოტოსურათის მეშვეობით.

. 28 ოქტომბერს, სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებისა და პედაგოგების მონაწილეობით, ჩატარდა სასწავლო შემეცნებითი ექსკურსია, მარშრუტით ფოთი-დიდი ჯიხაიში-ვანი-ჭყვიში-ფოთი.

. 28 ოქტომბერს დიდ ჯიხაიშში , ნიკო ნიკოლაძის სახლმუზეუმში ჩატარდა, სამხატვრო სასწავლებლის მოსწავლეებისა და პედაგოგების ნამუშევრების გამოფენა, რომელსაც ესწრებოდნენ სამტრედიისა და დიდი ჯიხაიშის კულტურის სფეროს წარმომადგენლები. მუზეუმს საჩუქრად გადაეცა სასწავლებლის პედაგოგების ნამუშევრები .

. 2023 წლის 16 ნოემბერს, ა(ა)იპ ქ. ფოთის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელში გაიმართა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, ხელთნაკეთი პოსტერების გამოფენა/პრეზენტაცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ტანსაცმლის მხატვრული დამუშავების, მხატვრული ქსოვის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების, ფაკულტეტის მოსწავლეებმა. გამოფენას ესწრებოდნენ სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები. ღონისძიება შეაჯამეს ქ. ფოთის კულტურის სამსახურის წარმომადგენლებმა გვანცა მხეიძემ და მარიამ გაბისონიამ

. 24 ნოემბერს სამხატვრო სასწავლებლის მე-2 საფეხურის მოსწავლეებმა მოაწყვეს პოსტერების გამოფენა „ არა, ქალთა მიმართ ძალადობას!“ . შეიქმნა 11 დიდი ფორმატის პოსტერი. მოსწავლეებმა ვიზუალური ხელოვნების მეშვეობით გამოხატეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება ძალადობისადმი.

ა(ა)იპ აკაკი ჩხაიძის სახელობის სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებლი ემსახურება ხალხური რეწვის მივიწყებული დარგების აღდგენა შენარჩუნების საქმეს და პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მისიასა და მოვალეობას. სასწავლებელი, ქალაქის თვითმმართველობის მხრიდან საჭიროებს მხარდაჭერას. არსებული არაერთი პრობლემა უკავშირდება სასწავლო- შემოქმედებითი საქმიანობისთვის საჭირო არასაკმარის ფართს, რომელიც აფერხებს სასწავლებლის ავტორიზაციის საკითხს და ხელს უშლის მის განვითარებას.

სასწავლებლის დირექტორი : მაია კორკელია